27 მარტს (8 აპრილს) 1869. № 13. მეოთხე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

	Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

ამბავი სამეგრელოდამ. — დარიგება.—პოლიტიკა:—ანგლია.—ფრანცია.—პრუსსია და ბერმანია.—ისპანია.—ოსმალეთი. ლექსი: ნამარნევის მონასტრის მსხვეში.—სხვა და სხვა ამბავი. ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ამბავი სამეგრელოდგან

—ჩვენდა სასიამოვნოთ ბოლოს ნამდვილი ამბავი შევიტყეთ სამეგრელოდგან ბანკის შედგენაზე სამსავე უეზდებში: ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისა; თავად-აზნაურობას გადაუწყვეტია ბანკის შედგენა და გლეხების პიროვანის განთავისუფლებისათვის ხელმწიფისაგან ნაწყალობევ ფულიდგან, რომელიც ეხლა ეძლევათ მათ ჟუთაისში და ფოთში, ხაზინა ათ პროცენტს (ესე იგი მანეთზე ორ შაურს) იჭერს ამ ბანკისათვის. ამას გარდა, შკოლებისათვის (არ ვიცით რა შკოლებისათვის) შეუწირავს თავად-აზნაურობას ზუგდიდში და სენაკში მანეთზე ორი კოპეიკი, და ლეჩხუმში სამი.

ამ სასიამოვნო ამბავს ეს ამბავიც უნდა დაუმატოთ: ჩვენში დიდათ შესანიშნავია, რომ მეგრელები აღებულ ფულს ისე არ აბნევენ ლხინში და ვაჭრების ჯიბეებში, როგორც ქართლელ-კახელებმა და იმერლებმა ჩაიდინეს. მეგრელები ფულის აღების შემდეგ მეორე დღესვე ჟუთაისიდგანა ქრებიანო, იქაურ ვაჭრების საკაგლახოთ, რომელთაც იმათის იმედით დუქნები აუესიათ.

მეთორმეტე ნომერში „დროების“ გაზეთში იყო მოხსენებული, ახლად ხელ დასხმულის მონაზონად, ქვრივის წერეთლისა, რომელმაც შემდგომ ორის ქრმის ხელში ყოფნისა, მოიძულა სოფლიური ცხოვრება, და მოიწადინა შემოსა მონაზონებისა, რომლისადმი ღირსი შეიქმნა ხელ დასხთისა აფხაზეთის ეპისკოპოზის ალექსანდრესგან. იქვე იყო მოხსენებული, რომ ეპისკოპოსმან უთხრა იმას სანუგეშო შესხმა. მათ კოვლადსამღვდელოებამ გადმოგვცა თავისი მისდამი დარიგება, რომელსაც დავბეჭდავთ საცნობელათ მკითხველთა, და რომელსაც აქვს საკუთარი მნიშვნელობა.

დარიგება

ახლად-ხელ დასხმულს, მცხეთის სობოროს მონოზონად ნინასადმი 1869-სა წელსსა მარტის 12 დღესა, თფილისის ექსარხოსის საჯვარო ეკკლესიაში.

მონოზონი ნინა! მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ, აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. (სახარება მათესი. თავი. ია. მუხლი: კჲ-ვთ). აჰა დღეს შენ, სიტყვისაებრ ღვთისა, აღგიღიეს უღელი იესო ქრისტესი და გიტვირთავს ტვირთი მისი თავსა შენსა ზედა; აჰა დღეს შენ მიგიღიეს სახე ანგელოსებრივი, შეგიმოსიეს სქემა მონოზონობისა, მიგიტევებიეს წარმავალი სოფელი ესე და თვით სახელიცა ძველად სოფელში მიღებული, და მიგიღიეს სახელი ქართველთ განმანათლებელისა წმინდა ნინოსი. 1)

ჭეშმარიტად, ყოველივე ესე კეთილ არს და ნეტარ ხარ და იქნებიცა ნეტარ საუკუნოდ, უკეთუმცა ყოველსავე, რაიცა აღგითქვამს დღეს ამ მონოზონის სახის მიღებაზედ კეთილად და დაუზარებლად დაიცვამ და აღასრულებ.

რადგანათაც დღეს მარჯვენამან ჩემმან აღგკვეცა შენ მონოზნათ, შეგმოსა ანგელოსებრივის სახითა და გარდამოაწვია შენ ზედა უფლისა, ამისთვის ვალი მაქვს გამცნო შენ, მონოზონო ნინავ, თუ ვითარი აღთქმა მიგიცია შენ წმინდა ეკკლესიაში ღვთისათვის და რა გაძს ვალად, რომ აღასრულებდე აღთქმათა მათ წმინდათა და სასიამოვნოდ ღვთისა და ყოველთა წმინდათა.

აღთქმა შენი, ვითარცა აღთქმა მონოზნობისა, არს უმთავრესად სამი: მორჩილება, სისაწყლე და ქალწულება ანუ წმინდა ქალწულებრივი ცხოვრება. აღსრულება ამ სამთა აღთქმათა: მორჩილებისა, სისაწყლისა და წმინდა ქალწულებრივი ცხოვრებისა მიგიყვანს შენ სამოთხის კართან; რასაკვირველია, პირველი აღთქმა, მორჩილება, ითხოვს შენგნით, რათა შენ დაეპყრა მორჩილებით მონოზონობას და მონოზონობის კანონ შეურყეველად, შენგან აღმორჩეულს ადგილზედ, მცხეთის წმინდა საკათედრო სობოროზედ; რათა იმყოფოდე მორჩილებაში ყოველთა პირთა თანა, და უმეტესად უფროსებთან; და მასთან რათა ერთგულად, ბეჯითად და კრძალვით ემსახურებოდე დიდსა მცხეთის ტაძარსა, და ცდილობდე, რაოდენიცა შეიძლებოდეს შენ მიერ, მისს სიწმინდეს და სიმშვენიერეს; 2) რათა იმყოფებოდე დუმილებაში და მოთმინებაში; ესე იგი: შენ უნდა იყო წყნარათ ლაპარაკში, ქცევაში, და უკეთუ გაჯავრება ვითარიმე შეგემთხვიოს ვისგანმე, მოითმენდე, არა განფიცხდებოდე და არცა მიაგებდე მაგიერს; არა მიმოსთქმიდე და არა დრტვინვიდე.

აღთქმა მეორე, აღთქმა სისაწყლისა, ითხოვს მას, რომელ შენ არა სცხოვრებდე განცხრომით არც შესამოსით და არც სანოვაგეთი, არამედ ყოველსავე ცხოვრებასა შინა უნდა გაჩნდეს და გაქვნდეს სახე სისაწყლისა. სისაწყლისათვის და სიმშილისათვის ნუ შეძრწუნდების გული შენი. მიუტევე ზრუნვა შენი უფალსა და მან გამოგზარდოს შენ.

აღთქმა მესამე, აღთქმა წმინდა ქალწულებრივი ცხოვრებისა ითხოვს, რომ იცხოვრო სულით და გულით წმინდათ; ითხოვს, რომ არა თუ გულის ამოაოს წადილსა და სოფლიურს ბილწიერებრივს ცხოვრებას განეელტოდე, არამედ გულშიაც არ წარმოიდგენდე ცოდვას, და უკეთუ წარმოგიდგებოდნენ ჭაზრნი ცოდვისანი, მსწრაფლ აღმოხოცდე მათ გულიდამ. მაშასადამე აღთქმა წმინდის ცხოვრებისა ითხოვს შენგნით, რათა შენ, გულსა, თვალთა და ბაგესა შენსა დასდებდე საცოსა მძიმესა, რათა იგინი არა განხსნილ იყვნენ ცოდვათათვის, არამედ დახშულ მარადის.

ღვთის მოშიშო მონოზონო ნინა! დღეს შენვე მიგიცემიეს წმინდის სახარების და წმინდის ჯვარის წინაშე აღთქმა მონოზონობისა ღვთისათვის და მე რაღა ბევრი გავავრცელო, შენ თვით გესმის და უწყი მნიშვნელობაცა ყოველისა შენ-მიერ მიცემულისა აღთქმისა, და სრული იმედია რომ ეცდები ღვთის შიშით და ლოცვაში აღასრულებ მათ აღთქმათა. იმედსა ამას გვაძლევს ჩვენ, პირველად თვით წმინდა შენი ხნოვანება და მოხუცი წლოვანება დაჭკნობილი სოფლიურის სიმშვენიერისათვის და მიდრეკილი წმინდა ზეციურის ცხოვრებისადმი 1); მეორე ეს, რომ შენ წარემართები მცხეთას და დაეპყრობი იქაურს წინდა სობოროზედ; და მაშასადამე იმედია, რომ შენ მიბაძამ შენს მოსახელეს წმინდა ქალწულს ნინოს, რომელიც შენ ამოირჩიეპატრონად და რომელიცა თვითცა იღვწიდა მცხეთას, და მის ცხოვრებას მაგალითად დაუდებ თავსა შენსა და შენცა წმინდა ნინას მფარველობით იცხოვრებ მარადის კეთილად.

იცხოვრე კეთილად და წმინდად ღვთის მოშიშო მონოზონო ნინა, რათა ღმერთმან მადლითა და მფარველობითა ყოველთა წმინდათა დედათა და მამათა ჩვენთა, მოგანიჭოს სასუფეველი ცათა, ადგილი ზეციურისა სამოთხისა, ადგილი ბრწყინვალებისა, სადაცა გუნდნი ანგელოსთანი მარადის ადიდებენ უფალსა.

ეპისკოპოსი ალექსანდრე.

1) მონოზონი ნინა არის 65-ის წლისა.

„სტაროპოლის ვედომოსტებში სწერენ: ს ს. პოლიაკოვმა, ხელმწიფე—იმპერატორის ბრძანებით აქეს ამავაზიაში რკინის გზის გასაყვანათ, ადგილობრივი გამოძიება უნდა მოახდინოს ამ საგნის გამო. სტაროპოლის გუბერნატორს წინა—დადება აქვს მიცემული, რომ პოლიაკოვის ინჟენერებს ყოველივე შეეწეობა მისცეს, რომ იმან თავისი გამოძიება წარმატებით მოახდინოს.“ ჩვენის მხრით დაუმატებთ, რომ, როგორც ნამდვილათ ვიცით, პოლიაკოვმა თავისი გამოძიება უნდა გამოაცხადოს ამ წლის ივნისში.

პოლიტიკა.

ანგლია.

ლონდონი 2 (14) მარტსა. პალატას შეკრებილებაში საზოგადოებათა 25 ფებერვალს (12 მარტს) უ. მელლიმ მიაქცია ყურადღება პალატისა, საკმაოდ ბევრ რიცხვ ყმაწვილებზედ მანუფაკტურნის ქალაქებში, რომელნიც არ მიიღებენ არა ვითარსამე განათლებასა; და რომლისათვისაც მათ არ აძალადებენ რომ ნახონ მალმალე შკოლები არცა მფლობელთ ფაბრიკისა, არცა გარეშე პირთ სჯულის წინააღმდეგს საეკლესიო განწყობილების არსებობისათვის. ორატორი თხოულობდა ნებართვასა პალატასაგან დაწესებულიყო ამ საკუთარს საგანზედ საკუთარი კომისია რომ შესდგომოდა იმისთანა გარემოებასა, და მოენახა ღონისძიება, რომ მოეკვეთა ესეთი ბოროტი. ლივერპულის, მანჩესტერის და ბირმინღამის ქალაქებში ითვლება 75 ათასამდე ყმაწვილი რომელნიც არა რომელსამე განათლებას მიიღებენ და იზრდებიან სრულებით გარყვნილებაში. სჯულსა ფაბრიკებისათვის არა აქვს დამოკიდებულება უფრო იმათ დამოკიდებულებაზედ (ცუდ მდგომარეობაში), იმის გამოისობით, რომ ისინი არ არიან არა რომელსამე მუშაობაში. ბარნა რომელ ქალაქებშიაც არის სასწავლებლები, რომლების შემოსავალი არის თითქმის 18 გირვანქა სტერლინგი (ფული ანგლიური) წელიწადში ღარიბი ყმაწვილებისათვის მიუწდომელია. ესრეთ რადგანაც ყოველს ყმაწვილს აქვს ნება განათლებაში, მაშა ორატორს სურვებია რათა დაწესდეს დიდრონ ქალაქებშიაც მანიციპალნური შკოლები. ესრეთი შკოლების გაშინჯვაც უნდა იყოს მოვალეობასაკით.

უ. დიკსონი იჭერდა ამავე წინადადებასა რომელიც ამტკიცებდა, რომ საზოგადოება ეცდება შეერთდეს აზრითა დავალებულ სასწავლებელისთვის,—და რომ დაბალ კლასებში გამოჩნდებიან მზადებანი მოიტანონ მიუცილებელნი მსხვერპლნი განათლების განვრცელებისათვის და სიგლახაკის დამცირებისათვის.

უ. ფოუესტმა წარმოსთქო წინაალმდეგ წინა დადებისა, ეგონა, რომ დანიშვნა კომმისიისა მითომც დაიგვიანებდა საზღვრის მიწევნისადმი. რომელიც არის სახეში იყოს შემადგენელი წინადადებისა. მართებლობას აქვს საკმაო ჩვენებები რათამცა შეადგინოს საზოგადო საზღვარი ხალხის განათლებისათვის. ამის გამოისობით სთქო ორატორმა, ლაპარაკი მოდის ერთს დიდათ საჭირო კითხვებთაგანზედ, წინადადებულთა გასარჩევად პარლამენტისა. ანგლიაში მომატებულს ნაწილთ არ შეუძლიანთ ყმაწვილებს, არც კითხვა არც წერა, მაშინ როდესაც პრუსიაში, საქსონიაში და სხვა სახელმწიფოებში იშვიათათ შეხვდება ყმაწვილს, რომელსაც არა ჰქონდეს ელემენტარნული განათლება. ლონდონში ნახევარი ყმაწვილობა არ იარება შკოლაში. ესევე შეინიშნება მონჩესტარში და სხვათაცა დიდრონ ქალაქებში. ესრეთ თერთმეტი ათასის ყმაწვილებიდგან, რომელნიც ცხოვრობენ მონჩესტარში მხოლოდ 5,200 დადიოდა შკოლაში ანუ სამუშაოში, დანარჩომნი კი 5,800, რჩებოდნენ ყოველის მეცადინებიდგან. სჯულის მოქმედება ფაბრიკულის შკოლების დაწყობილობისათვის მანუფაქტურნის ქალაქებში დიდი ხანია არ აკმაყოფილებს მათ დანიშნულებას. თუმცა ორატორმა წარმოაჩინა თავისი თან—გრნძობა ამის სჯულისადმი, განა მისის ფიქრით, ის შეადგენს პირდაპირსა შეერთებასა ადმინისტრაციისასა თავისუფლებით მოქმედებაში ფაბრიკების პატრონებთან. ბოლნებამ დაამტკიცა, რომ ბევრნი მათგანნი წინათვე ცდილობენ—ააცდინონ თავიანთი ფაბრიკები ყმაწვილების მუშაობას, მანამ დეე-მორჩილებიან ჰსჯულის მოთხოვილებასა. ბევრნი ყმაწვილები იყვნენ დათხოვნილნი სამუშაოდგან სჯულის გამოცემის გამოისობით ფაბრიკულის შკოლების დაწესებისა გამო. თუ კი განათლება შეიქმნება მოვალეობად

ყოველთათვის განურჩეველად ყმაწვილებთა, მაშა ისინი, ნაცვლად ამისა, რომ ეხეტნენ ქუჩებში, იელიდნენ მაინცა შკოლაში და ამ გვარ იხმარებდენ თავიანთ დროებას სასარგებლოთ თავიანთ თავისთვისვე. Ყოველისაგე შემთხვევაში ამ ნაირათ შეცვლა სჯულისა მაინც მოუტანდა სარგებლობას. ხალხი თანა-მგრძნობელნი საქმისა სახალხო განათლებისა და თანა მოქმედნი განვრცელებისათვის მისისა, ერთ სულობით წარმოაჩენენ, რომ ამა წინა-მდებარის წესდებულებისათვის, არ შეიძლება შესდგეს სამართლიანი სისტემა სახალხო განათლებისა. Ბაძალიანება ხალხისა ასწორებს ერთ სულობასა მშობელთა. Ორატორმა გამოისახა იმედი, რომ როდესაც პალატა მიიღებს ამ საჭირო კითხვის გარჩევასა მაშინ ის ამასთანავე მიიღებს ლონის-ძიებას შეაერთოს სისტემა დაძალადებული დავალებისა მიუცილებელს გასინჯვასთან შკოლებისა. მისისავე ფიქრით ბილლი, რომელსაც ჰქონდა მიზეზი დააწესოს დაძალადებული დავალება, არ მიეწეოდა თავის დანიშნულებასა. შესაძლებელია ვიფიქროთ კიდეცა რომ აქეთი მხარე არ მიიღებს მას, უკეთუ იმაში არ იქმნება შეტანილი პირობა შესახებ დავალებულ-შკოლების ნახვისა. Არავინ არ იტყვის, რომ უზდელობა ხალხისა უნდა მიეწეროს შკოლების სიცოტავესა. Ფაქტები არღვევენ ამ განზრახვასა. Არის ბევრი სოფლები, რომელშიაც არიან კარგი შკოლები, გარნა ერთობა მათი რჩება დამდაბლებულად ამისათვის რომ მომატებული ნაწილი, ყმაწვილები ანებებენ თავსა უდროო-უდროთ. Ხოლო დანარჩომი ყმაწვილები სასწავლებელში ეკუთვნიან საკმაოდ მდიდარ მშობლებსა, რომელთაც შეუძლიანთ ხარჯის გაღება მათ სწავლაზედ. ამგვარი დაუდეგარი მიზეზი პირველების მშობელთა განათლებისათვის ყმაწვილებისა მდგომარეობს თავხედობაში, სიღარიბეში და თავის მოყვარეობაში, (ეღოიზმში). თუროომ ვიკითხავთ—მიაწევს სურვებულს მიზანს სისტემა დავალებულის სასწავლებელისა, მაშინ ამაზედ შეიძლება თქმა, მანამ არ მოიპოვება ღონის ძიება რომ ამოიკვეთოს ბოროტი, მანამ თვითონვე სახელმწიფო არ დაიჯერებს შეუცვლელობაში იმა ჭეშმარიტებას რომ მშობლები არიან მოვალენი ეგრეთვე იზრუნონ განათლებისათვის თავიანთ შვილებისა, როგორც ზრუნავენ მათ დღიურ გამოზრდისა და ჩაცმა დახურვისათვის. Ორატორი რომელიც არის წინააღმდეგი შერევისა სახელმწიფოთა თავისუფლების მოქმედებაში ზოგადთა ხალხთა, რჩება იმავე იმედში, რომ რამწამ დაივიწყებს მშობელი ამ გვარ თავის ბუნებითს მოვალეობას შესახებ თავიანთ შვილებისა, მაშა ამა შემთხვევისაგამო სახელმწიფო მოვალე შეიქმნება მიიღოს ესრეთნი ყმაწვილები თავის მმართებლობის ქვეშ და მოიხმაროს თავისუფლობა მათ სარგებლობაზედ Ამტკიცებენ რომ ესეთი შერევნა მშობლების ნებობაში წინააღმდეგია ზნეობისა, მაგრამ ეს დარწმუნება იყო გამტყუნებული ოცის წლის წინათვე როდესაც პირობებებს ზდებდენ რომ შეეტანათ ფაბრიკულის სასწავლებლების დაწესების სჯულში დავალებულ განათლებაზედაც. Ბანა სისტემა დავალებულის სასწავლებლებისა ნაპოვნი იყო Პრუსიაში და Საქსონიაში შეუცველელად პრაკტიკაზედ? იტყვიან ვითომც დავალებულ სასწავლებლის სისტემას შეუძლიან შეასუსტოს ზოგადი გამჭრიახობა. Ბანა მხოლოდ სჯულთა და კეთილშობილებათ დააყრუეს საზოგადოებაში გრძნობა თანაენებულობისა არა მექონთადმი? დაწესება დავალებულის სასწავლებელისა გამოჩნდებოდა მიუცილებელად ერთისა მხოლოდ ჩამომავლობისათვის, როდესაც ხალხში მოხდება განათლება, მაშინ აღარ დასჭირდება სჯულები რომ დააძალოს იმას, რომ მისცეს თავის შვილებს განათლება. Საზოგადოების ფიქრა გაიწია ამ შემთხვევაში ისე ჩქარა წინ, რომ შეიძლება გაბედეთ წინათვე ესთქვათ, რომ შემდგომ რაოდენისამე წლისა არა რომელიმე მმართებლობა, რაც უნდა იყოს, რადიკალნური თუ კენსერვატიული, ვერ შეიძლებს აღრიცხვასა თანა-მგრძნობელთა მისდამი გამორჩეულთა,—უკეთუ დავალებული არ შეიქმნება დიდის ღონისძიებითა იმოქმედოს სასარგებლოდ დავალებული სასწავლებელისათვის. Დასასრულ ორატორმა გამოაცხადა რომ მმართებლობა განმზადეგულია წარუდგინოს ეს კითხვა გასარჩევად Პარლამენტსა რომელიც იქმნება ამ მოკლეს დროში.

Უ. Ბიკსტონმა წინათ-გამოაჩინა, რომ საშუალობასა უ. Ფოუსეტისაკენ წარმოდგენილსა, აქვს რევოლიუციონური ხასიათი. მისისავე აზრით, უმჯობესი იქმნებოდა, მოაზრების სახით, მიიღებინოს ისინი ერთს ანუ მხოლოდ ორს ქალაქებში.

Უ. ფოსტერი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ დრო წარმოებისა გადავიდეს და ეს მხარე კი საჭიროებს ახალ სისტემას განათლებაში. Ყოველივე საძნელო შეიცვის სისტემის ცვლილებაში თვინიერ დაკლებისა რეზულტატებთა მიწეული შეერთებითა რომელთამე ზოგადთა პირთა. Როგორც უნდა იყოს საფუძვლიანი შესიტყვება, გამომწოდებელი ნებართვისა ფულის სუფსიდიისა სასარგებლოდ სჯულიერის განათლებისა, მაინც დარჩება უეჭველად ის ფაქტი, რომ არა რომელიმე ღონისძიება, მიმართული შევიწროებისადმი სჯულიერის განათლებისა არ იქმნება სახალხოდ Ანგლიაში.

Უ. ფოუსტი არის ამავე განზრახვისა. რომ შეერთების დროს მისსა, რაც კეთდება Ანგლიაში, მითვე, რომელნიც წარმოებენ სხვა სახელმწიფოებში არ იყოს მიღებული ყურადღებაში ის საჭირო გარემოება, რომლებიც ამ მხარის მმართებლობას აქვს უფრო ჩვეულებასავით შეეცილნენ ზოგადს ცხოერებაში მოქალაქეთა და სარგებლობენ ამ შემთხვევაში იმ ნაირ ნებითა, რომელიც მოუთმენელია Ანგლიაში. Სხვაცა ბევრი გაჭირებები წარმოებენ ეგრეთვე განდიდებისაგან საზოგადო მოსაზრებისა; მაგრა ორატორი დასდებს, რომ ეს კითხვა შეეხება მმართებლობასა, და კამისია ამ საჭირო შემთხვევაში არაფერს იმოქმედებს სასარგებლოდ იმისა. Ყოველის შემთხვევის გარდა მმართებლობა გაგზავნის კომისართა Ლიდსში, Ლივერპულში და მანჩესტრის ქალაქებში

Უ, მელლიმ გამოაცხადა თავისი დაკმაყოფილება მმართებლობის გამოცხადებითა და დაიბრუნა უკანვე თავისი წინადადება.

ფრანსია.

პარიჟი, 9 მარტს.—Ბარდა იმ მშვიდობიანობის დარწმუნებისა, რომელზედაც სწერენ ყველა ოფიციალური გაზეთები,—საზოგადოებაში ხელ-ახლა აღმოჩნდა საშიშარი ამბები, რომელნიც წინათვე გვაფრთხილებენ ჩვენ. Ამბობენ, ვითომც Ფრანციის მმართებლობა ეცდებაო რომ შინაურული გაჭირება მოიშოროსო რომლისამე გარეგანის დივერსიით; მაგრამ ჯერ ამ ხმის სიმართლეს აქამომდე არა ამტკიცებს რა. Ჯერ ისევ ბელგიის რკინისგზებია საგნათ საზოგადო საუბარისა. Ჯერ გაჭირება ამ საქმით აღძრული არ არის შორს მოცილებული; საზოგადოებაში ამის გამო აღრეულობა არ მიმწყდარა. შეიძლება ამ შემთხვევამ Ფრანცია Პრუსსიას შეაჯახოს, თუმცა ოფიციალური გაზეთები ამტკიცებენ, ვითომც ეს არის მოხდებაო. Ფრანციის ელჩის ლაგერონიერის ყოფნა ბრუსელში, მოკლეს ხნით მოგზაურობა ბელგიის ელჩისა, ბეინსესისა ბრუსელში ტიუილერიის კარზედ, ეს ამბები უჩვენებენ რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებას და იმას რომ, Ფრანციის მმართებლობაში ჯერ საქმე არ არის გადაწყვეტილი. Ისმის ვითომც თვით ბელგიის მინისტრი პრეზიდენტი ამ დღეებში მოვაო Პარიჟში იმპერატორის სანახავათ.

Პარიჟის კორრესპონდენტი სწერს „Times"-ში, Მონტაბანის სასამართლოში ერთი უებარი საქმე ირჩეოდა, რომელსაც არა აქვს თანასწორი ამბავი სისხლის სამართლის მატიანეშიო. Პირველი დამნაშავე იყო დედაკაცი, სახელათ Დელპეში, რომელსაც ეხოცნა ნაბიჭვრები. Ამ საქმეს თურმე დიდიხანია რაც კარგათ ასრულებდა და მერე პოლიციას რომ ეჭვი მიეტანა, მაშინ გაეშინჯათ იმისი სახლი და ეპოვნათ შიგ ყმაწვილების ჩონხები და ძვლები. Როცა სასამართლოში მიეცათ და მოვიდა Დელპეში, ისეთის სიმართლითა დადაწერილებით მოსამართლეებს უამბობდა თავისი მსხვერპლების ისტორიასა, რომ ნამცეცს სირცხვილს არ იმჩნევდა და ისეთის სიმდაბლით და უსინდისოთ ლაპარაკობდა, რომ ეს ლაპარაკი იმის ხელობას არც კი უვარდებოდა; ამ გვარს დაწერილებას ეს გასაოცარი დედაკაცი სრულებით წყნარათ და მშვიდათ ლაპარაკობდა. Ველა მიბარებულ ყმაწვილზე 100-დგან 400 ფრანკს თურმე ართმევდა, იმის შეხედვით მდიდარნი თუ ღარიბნი იყვნენ იმისი მშობლები. Დაფიცებულებმა ეს დედაკაცი გაამტყუნეს, მაგრამ ბევრი სასჯელის გასაადვილებელი გარემოებაებიც უპოვეს. Ეს სასჯელის გასაადვილებელი გარემოებაები შესდგებიან იმაში, რომ ბევრი და არა ერთი ყმაწვილი მოუკლავს ამ დედაკაცსა. Როდესაც Დელპეშს მარტო ერთი ყმაწვილი მოეკლა, მაშინ დაფიცებულები ვერ იპოვიდნენ მიზეზს, რომ სასჯელი გაეადვილებინათ; მაგრამ რაკი მთელი რიგობა ამისთანა დამნაშაობა ეხმარნა და ამასთან უნამუსოთაც მოუთხრობდა, ამიტომ დაფიცებულებმა მიიღეს, რომ სწორე ჭკუისა არ არისო; მაშინ ჭკუაზე შემცდართ სახლში უნდა გაეგზავნათ და არა კატორგის სამუშაოში. Ახლა საქმე მეორეს მხრიდგან გავშინჯოთ. Მოწმებათ მოდიოდნენ თითონ მშობლები დახოცილი ყმაწვილებისა. Იმათგან ერთმა სთქო, რაც დაწოლის შემდეგ ყმაწვილი Დელპეშს მივეცი, მერე ხუთი წელიწადი არ მომიკითხავს იმისი ამბავიო; სხვა დედებიც ასე ამბობდნენ; როგორც ამოჩნდა თურმე არც ერთი იმათგანი არ ადევნებდა გულს რა მდგომარეობაში იმყოფებიან იმათი შვილები, ვიდრე სასამართლოში არ მოიტანეს იმათი ძვლები დანაშაულის დასამტკიცებლათ და იქ არ გაიგეს ყოველი. Ამათ არა გადაახდევინეს რა, თუმცა ესენიც უნდა მიეღოთ ალმაცერა დამნაშავეთ Დელპეშის დანაშაულში; ამათ რომ ცოტაც არი აესრულებინათ დედის მოვალეობა და მიეხედნათ ხოლმე თავიანთი შვილებისათვის, მაშინ Დელპეში ასე მშვიდათ არ ისაქმებდა თავისი ბოროტი ხელობითა. Მოწმებთა რიცხვში მოვიდა ერთი კაცი, რომელსაც თავსმჯდომარემ უთხრა, რომ შენ ერთი მოკლული ყმაწვილის მამობასა გწამებენო; ამან ერთ რაღაც მდაბალი ხუმრობა უთხრა თავს მჯდომარესა, რომელზედაც პუბლიკამ შექნა დიდი სიცილი.

პრუსია და ზერმანია.

ბერლინი, 9 მარტსა, სადილზედ, რომელიც გამართა 4 მარტსა, ჩრდილოეთის Ამერიკის ელჩსა ბერლინში Ბანკროფტმა, Ბრანტის პრეზიდენტობაში შესვლის გამო მინისტრმა პრეზიდენტმა, გრაფმა Ბისმარკმა სადღეგრძელოს დალევის დროს წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა ანუ შესხმა ახალის პრეზიდენტისადმი. „ნება მომეცით მე, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ თქვენი ბაასი შევწყვიტო რამდენისამე სიტყვით; ახლაპ რეზიდენტობის თანამდებობას მიიღებს ძლევა შემოსილი წინამძღომელი შეერთებულის შტატების მხედრობისა. Ეს გარემოება ძალიან დიდი შემთხვევაა შეერთებულის შტატებისათვის, და დიდს თანაგრძნობას აღძრავს პრუსსიაში. ჩვენ ვიცით, რომ პრუსსიის კოროლი Ფრიდრიხი მეორე იყო პირველი სანეიტრალო Ევროპის ხელმწიფეთაგანი, რომელთაც სურდათ დამოუკიდებლობა ჩრდილო-Ამერიკის რესპუბლიკებისა.—მე შემიძლიან დავამოწმო ეს არა თუ ჩემის თავით, როგორათაც პრუსსიის მინისტრმა, არამედ თვით დოკუმენტებითაც, რომელნიც დაცულნი არიან, ჩვენ არხივში დავამოწმო გულითადი მეგობრობა Პრუსსიისა და Შეეროებულის Შტატებისა ეს მეგობრობა დააწესეს Ვაშინგტონმა და Ფრიდრიხ მეორემ. Ის არაოდეს არ დარღვეულა, და არც მომხდარა იმათ დამოკიდებულებაში არა ვითარი საწყინარი საქმე არა თუ განხეთქილება. Ამის გამო ჩემთვის სასიამოვნო ვალათ ეხადი მოგიწოდოთ თქვენ, რომ შეჭსვათ ჩვენი ნემეცური ღვინო Შეერთებულის Შტატების პრეზიდენტის, Ბრანტის სადღეგრძელოთ.

ისპანია.

მადრიდი, მარტის 10-ს. Მადრიდის კორრესპონდენტი სწერს „Liberté"-ში, რომ შემდეგს გარემოებაში იმყოფებიან Ისპანიაში პოლიტიკური პარტიებიო:

„Რამდენიც უფრო ახლოვდება Ისპანიის მეფის ამორჩევა, იმდენი პუბლიკა უფრო შედის დიდს ინტერესში ამ საგანზე. Თუმცა ამ უკანასკნელს დროს Მონპანსიეს კანდიდატობას დასცინოდნენ ბევრი პამფლეტებით, და კარიკატურებით, მაგრამ იმას უფრო დიდი იმედი აქვს ტახტზე დაჯდომისა. Ქორტესებში ბევრნი არიან თავის მოყვარენი. ამაღლების მოსურნენი და ამიტომაც ზიგნი ახლავე თხოულობენ, რომ ხმის მოცემა კოროლის ამორჩევისათვის იყოს ჩუმიო. Ეს კი უნდა ესთქოთ, რომ Მონპანსიეს კანდიდატობას უთოოთ შეხვდება წინააღმდეგობა და გაძნელება. Სეევილელები აპიროობენ დასწონ სასახლე, რასაც იმისი პატრონს Მონპანსიეს Ისპანიის ტახტზე ამოირჩევენო. Თითონ Მონპანსიეს მომხრენიც ამბობენ, რომ იმისი ამორჩევა დიდს არეულობას ჩააგდებს მთელს Ანდალუზიაო.

„Ეს ყველა ასეა, მაგრამ გერცოგ Მონპანსიეს ყველაზე დიდი იმედი აქვს ტახტზე დაჯდომისა.

„Თუმცა არის მოლოდინი, რომ ამორჩევის შემდეგ დიდი არეულობა უნდა იყოს, მაგრამ ახლა მადრიდი დიდს სიმშვიდეში იმყოფება. Ახალი კათოლიკების პარტიაც კი თითქო მოურიგდა თავის მტრებსაო; მაგრა ისმის, რომ ვითომც ამათ მიულიათ მონაწილეობა ცხენოსნათ კაზარმების დაწვაში, რომელნიც აქამდის ჯერ კიდევ იწვიან. Საერთო ხმა ცეცხლის მოკიდებას კლერიკალებს აბრალებენ.

— Ლისსაბონის ცნობებიდგან გვესმის, რომ გერცოგი Მონპანსიეს გამოუცხადებია, რომ ვიდრე ისე არ ვიქნები ამორჩეული, რომ ბევრი წილი ხმა ჩემკენ იყოსო, გვირგვინს არ მივიღებო და არც ჩემთავათ ვეცდები ტახტზე დაჯდომას, რადგანაც ჩემი ამორჩევის გამო ურთიერთ შუა ომი არ მწადსო.

— Ბაიტიდგან ძალიან არეულობის ამბები მოდის. Ქალაქებში ბევრი კაცის კვლები ხდება პოლიტიკურის აზრით. Არც სქესსა და არც წლოვანობას უყურებენო. Ქაიში თებერვლის 4-ს ოთხმოცი კაცი მოეკლათ. Პრეზიდენტ სალნავეს ჯერაც ვერ დაუმარცხებია თავისი წინააღმდეგები, რომ დაამშვიდოს არეულობა.

მადრიდი, 10 მარტსა—აქ ისმის, ვითომც უნდოდათ მოეწამლათ კაზარმაში მცხოვრები 6,000 კაცი მადრიდის გარნიზონისა. Მაგრამ ეს პლანი ვერ შესრულდაო, ერთის აფიცრის შემწეობით; რამდენსამე დღის შემდგ მოინდომესო კაზარმის დაწვა, იმას კიდეც მისცესო ცეცხლი, მაგრამ მალე გააქრესო. Ამ ხმამ ქალაქის საზოგადოება დიდათ ააღელვა. Ამტკიცებენ, ვითომც ეს იყოს კლერიკალების ანუ სამღვდელოების პარტიის საქმე.

— Საკონსტიტუციო კომმისია გულმოდგინებით მოქმედებს კონსტიტუციის პროეკტის შედგენაზე. Ამ კომმისიის წევრებმა როგორც ისმის, გამოაცხადეს სურვილი, რომ პროეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი სრულებით დაიბეჭდოს... სარესპუბლიკო დეპუტატები ფიქრობენ, რომ კორტესები დათანახმონ დანარჩენი კოროლევა Iზაბელლას მინისტრები დასასჯელათ მიცემია Ქუბის გენერალ-გუბერნატორი Დულჩე, მოახსენებს 6 რიცხვიდგან, რომ Iსპანიის ჯარმა დაამარცხა 1 რიცხვს Ვილლა-კლარეში ინსურგენტები. Კიდევ, შემდგომ რაოდენისამე დღისა 4,000 ინსურგენტები დაამარცხეს Პუეტო-Პრინჩიპეში და მისცეს დიდი ზარალი. Ქალაქ ლავანა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა; რომელთამე მოწინააღმდეგე მცხოვრებთა გამოაცხადეს სრულებითი მოარჩილება.—რამდენიმე ინსურგენტების წინა-მძღომელები თოფით დახვრიტეს. Ეს უკანასკნელი ფრაზა აჯაერებს სალიბერალო გაზეთებს, რომლებიც ჰკითხვენ;—განა რევოლუციონურ ისპანიის მმართებლობამ ვერ შეიძლო, რომ სხვა ფრიე დაედგინა წესი Ქუბის კუნძულზედ, რომ არ მიმართულიყო მომატებულს სიფიცხესა. Სამინისტრომ როგორათაც ისმის, მისწერა გენერალ Დულჩეს, რომ აღარ გააგრძელოს სიკვდილით დასჯა.

Მ ა დ რ ი დ ი, მ ა რ ტ ი ს 2-ს. Მადრიდში იყო არეულობა სალდათის მოგროვების გამო. Ამ არეულობაში სამი ათასამდე ხალხმა მიიღო მონაწილეობა; ამათ რიცხვში იყო რაოდენიმე დეპუტატები და გენერალი Პიერარი. როგორც ტელეგრამმებით გვაცნობებენ, ხალხიდგან ისმოდა ხმა: Ღ მ ერ თ მ ა ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა!

Ამ არეულობის გამო მეორე დღეს კორტესებში დიდი ლაპარაკი იყო. Შინაგანთ საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ დეპუტატებმა არიეს ხალხი სახალხო მმართებლობის წინააღმდეგ და ბევრი სიმრუდის აზრებიც ჩააგონესო. Ერთმა რესპუბლიკის წინამძღოლმამ მარკიზ �ნზემ უპასუხა მინისტრს, რომ არეულობას მშვიდი ხასიათი ჰქონდაო. Ეს პასუხი არ იკმარა ადმირალმა Ტოპეტემ, და მაშინვე Ოლენზეს და პიერარს დაბრალა წინააღმდეგობა და თსოულობდა, რომ ეთქოთ ყველას სისწორით, მოსწონთ ამ გვარი ქცევა თუ არა. Უფ. Პიერარმა უპასუხა, რომ ყოველს ვალდებულებას მე ავიღებ იმ სიტყვებისას, რომელიც მე ესთქვიო. Მერე ილაპარაკეს Პრიმმა, Ფიგერასმა და სგასტამ. Ლაპარაკის დასასრულში ფიგერასმა და ამასთან მთელმა რესპუბლიკის პარტიამ სთქვეს, რომ ყველანი მივიღებთ კორტესების გადწყვეტილებას მმართებლობის სახის შესახებო.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ.

Კოსტანტინოპოლი, 7 მარტს.—Oტტომანის მმართებლობა გამზადებულია გამოაცხადოს მოკლე დროებაში დიპლომატიკურის დოკუმენტების შეკრება, რომელშიაც ის ეცდება დაამხოს ყოველ-გვარი დაბრალება შესახებ Sაბერძნეთის და Oსმალეთის შეტაკებისა. მმართებლობამ მოლაპარაკება დაიწყო ფრანცუზების პარახოდების საზოგადოებასთან, რომ იმან უკანვე დააბრუნოს Kანდიაში მცხოვრებნი თავის სამშობლო ადგილზედ. Ახალი Kანდიის გენერალ-გუბერნატორი, Oმერ-Ფებზი-ფაშა მოვიდა კუნძულზედ, და გაუგზავნა მოახსენება თავის მართებლობას, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს რომ ის კარგათ მიიღეს იქაურმა მცხოვრებლებმა. Kანდიაში ყოველის ნავთ-საყუდელების ადგილებიდგან გაღებულია, ასე რომ ეს ნავთ-საყუდელები გამზადებულია უცხო მხრის გემებისათვის Aმერიკა.

K ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ი, მ ა რ ტ ი ს 10-ს. Ერთი Ვენის გაზეთი გვაცნობებს Oსმალეთსა და Sპარსეთ შუა შეტაკებაზე რომელიმე ამბებსა. Ამ შეტაკების მიზეზს ხედვენ ორს შემდეგს გარემოებაებში: Sპარსეთის სამძღვრის დარღვევაში და Bაღდადში Oსმალების თანამდებობის მერე მფარველობაში ერთის Sპარსეთიდგან გამოგდებულის სეკტისა, რომელსაც ეძახიან Bაბიდებს. Sამძღვრის დარღვევა არ არის ახალი საქმე, ამიტომ რომ აქ სულ გაქსუებული ხალხი სცხოვრებს, რომელიც სულ ქურდობითა და ცრცვნით ცხოვრობს და რომელსაც არა გვარი მმართებლობის განკარგულება ვერ შეიმაგრებს. Mეორე მიზეზი—Bაბიდების მფარველობა ღირსია რომელიმე ყურადღებისა. Ეს სარწმუნოების სეკტა დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა: 1843-ში მირზა Aლი-მაჰმადმა დააფუძნა. Iმან დაირქო Bაბა (კარი ჭეშმარიტებისა), და ეს სახელი ეწოდა ახალ სეკტასა, რომელსაც Kორანის დაწესებაები ყველა არა სწამს: Bაბიდები დედაკაცს დიდს თავისუფლებას აძლევენ, ზოგიერთ საქმელს არ იკრძალვენ, უსჯულოს მიკარება შრევათ და გამურტლებათ არ მიაჩნიათ და სხ. Iმათმა სარწმუნოებამ ბევრი თანამგრძნობელი იშოვა; მაგრამ შიითების სამღვდელომ მიაყენა დიდი განდევნილება. Bაბას და ბევრს Bაბიდებს თავები დასჭრეს; რომელნიც მოარჩინენ, ისინი მეორე Bაბას, მირზა Tახის წინამძღოლობით გაიქცნენ Bაღდადში. Mაგრამ სპარსეთში ახლაც ბევრი Bაბიდები არიან ყველა საზოგადოების ხალხში. Eსენი შეადგენენ პოლიტიკურ პარტიასა, რომელნიც არიან წინააღმდეგნი ახლანდელი მმართებლობისა.—Mაგრამ ის ხმები, რომ ეითომც Oსმალეთსა და Sპარსეთ შუა მალე მოხდეს ომიო, უსაფუძვლონი არიან.

— K რ ი ტ ი ს გუბერნატორი ჰუსეინ-Aვალი-ფაშამ აცნობა უცხო ქვეყნების კონსულებს Kანეაში თებერვლის 10-სა, რომ რადგანაც კუნძული სრულებით დამშვიდდა, ამიტომ ბლოკადა აისხნება და ყველა გემ სადგურებიც გაიხსნება სავაჭროთაო.

Aხალი კრიტის გენერალ-გუბერნატორი Oმარ-Ფევზი-ფაშა წავიდა Kანეიში თებერვლის ექვსში „Sულთანია“ გემით, მაგრამ ჯერ არ შესულა თანამდებობაში კუნძულზე.

Aმერიკა.

Უცხო ქვეყნების გაზეთები გვაცნობებენ შემდეგს ცნობაებს ახლანდელს Aმერიკის მინისტრებზე. Უფ. Bოტველს, რომელიც დაინიშნა ფინანსის მინისტრათ უ. Sიუარდის მაგიერათ, ისეთი საერთო ნდობა აქვს მთელს მხარეში, რომ რასწამს შეიტყეს იმისი დანიშვნა, მაშინვე ოქროს ორი პროცენტი დააკლდა (ამავე ზომით ბილეთებს ფასი მოემატა). Bამილტონ Ფიშიც, რომელიც სახელმწიფო Sეკრეტრათ დანიშნეს, ძალიან გამჭრიახ კაცათ ითვლება შეერთებულს Sტატებში და ყველასაც უყვარს, რადგანაც ძალიან სწორე და წმინდა ხასიათის კაცი არის. Bენერალ Rულინსი, რომელმაც ახლა ომის სამინისტროში შეფილდის ადგილი დაიჭირა, იყო დიდხანს Bრანტის ჯარის შაბში ნაჩალნიკათ. Უფ. Iაშბორნი ახლა Pარიჟში მიდის ელჩათ გენერალი Dიკსის ადგილას; ეს პრეზიდენტის მეგობარი არის და პირველში ამოირჩიეს საელმწიფო Sეკრეტრათ, მაგრამ ბოლოს სხვა დანიშვნა მიიღო. Mენკას ბილლი, რომელიც იმაზე ლაპარაკობდა, რომ შეერთებული Sტატების ვალი ოქროთი უნდა მიეცესო, ძალიან სასარგებლო იყო Aმერიკის ბილეთეთებისათვის; რას-წამს ეს გაიგეს, მაშინვე ყველა ბირჟებზე Aმერიკის Sესხის ბილეთებმა ფასში აიწია.

Bაზეთი „Mისსურელი-Rესპუბლიკელი“ გვაცნობებს, რომ როცა Mისსისიპზე, Sან-Lუისის ახლოს, ინჟინერებს რკინის გზისათვის ხიდი გაჰქონდათ, მაშინ იპოვნეს წყლის ქვეშ ერთი ტონნელი (მაღარო), რომელსაც ათი არშინი სიმაღლე და შვიდი სიგანე აქვსო. Eს გაზეთი დაწვრილებით გვაცნობებს ამ ტონნელის შენობასა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ძალიან ძველი დროსი უნდა იყოს. Mიგ ვერ უპოვიათ ვერაფერი სამუშაო იარაღები; გულის ხმიანის გაშინჯვით ეტყობა, რომ Mიგ მძიმე ურმების თვლებს უვლია და კვალიც არის დარჩომილი. Oალ გვერდზე აქვს გამოთხრილი ერთი ერცელი ქვაბი, რომელშიაც სდგანან ნიშები (ხატის თახჩები), რომელსაცა ქვები აქვსთ მიფარებული; ამ ქვებზე რაღაც ასოები არის ამოჭრილი; ეს ასოები სრულებით ჰგვანან იმ ასოებსა, რომელნიც იყვნენ ნაპოვნი ნინევიის დანაქცევში. Nიშების შუა ადგილებში არიან გამართულნი ოთხკუთხი ქვის ბოძები, რომელნიც არიან დახატულნი სხვა და სხვა სახეებითა და თავებითა; ეს თავები გვაგონებენ ასსირიისა და ეგვიპტის სახეებსა და როცა ფარნები შუქს აყენებენ, მაშინ ძალიან ბჭყვინავენ. Mემდეგი გამოკვლევა გვაჩვენებს ეს სულ კაცისაგან არის გაკეთებული, თუ მხოლოთ ბუნების დაარსება მერე კაცს შეუმკია. Eს ამბავი თუ მართალია, მაშინ დიდი საისტორიო და საარხეოლოგიო ინტერესი ექმნება ახლათ ნაპოვნს ტონნელს.

Aმ ცოტა ხანში Eროპაში მოვიდა დედანი იმ პროკლამაციისა, რომელიც მიმართა ახალმა შეერთებული Sტატების პრეზიდენტმა ხალხს თანამდებობის მიღების დროს. Aმისი კითხვითაც ისევე აზრი გამოაქვს კაც, რომელსაც გვაცნობებდა ტელლეგრაფი ამ საგანზე. Sრულებითა სჩანს, რომ Mინაგანი, კოსტიტუციური უთანხმოების დროს განუელია; იმ დროს, როდესაც ორი საფუძვლიანი ღონე—პრეზიდენტი და Kონგრესი ერთმანერთს ებძოდნენ; ახლა Aმერიკის გამოჩენილი რესპუბლიკა მოელის მშვიდსა და ბედნიერს შემდეგსა.

Rასაკვირველია Bრანტის პრეზიდენტათ ამორჩევას ვერ მივსცემთ ისეთს დიდ მნიშვნელობას, როგორიც ჰქონდა Lინკოლნის პირველს ამორჩევასა; მართალია რიჩმონდზე გამარჯვებული არ არის მონების გამთავისუფლებელი; მაგრამ ახლანდელს პრეზიდენტის ამორჩევასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. Bრანტის პრეზიდენტათ ამორჩევა ნიშნავს, რომ ხალხსა სურს Mინაგანი უთანხმობის მოსპობა და ცდილობს, რომ აღმასრულებელსა და კანონთ დამაწესებელთ უფლებათა შორის აღარ იყოს ჩხუბი; აქედგანა სჩანს, რომ ხალხს შეუტყვია საჭიროება თანასწორი, ბუნებითი წარმატებისა ახლთ წესდებულებათა, რომელნიც დაიბადნენ ურთი ერთ შორის ომის შემდეგ.

Bრანტის სიტყვებიდგან სჩანს, რომ ცდილობს თავისა და კანონების დამაწესებელი უფლების შუა იყოს სრული თანახმობა. Iსა ჰპირდება ვიქნები პირველი მოქალაქე და კანონებსაც სიმართლით ავასრულებო. Oუ რომელიმე განკარგულება რითიმე უხერხოთ მეჩვენება, მაშინ ვიხმარებ ჩემს კონსტიტუციისაგან მოცემულს უფლებას—და დაესდებ „veto“საო; მაგრამ ამასაც უმატებს მაშინვე, რომ კანონებს კი წმინდათ ავასრულებ, თუნდა მომწონდეს და თუნდა არაო. „Kანონები იმიტომ არიან შექმნილნი, რომ ყველანი ასრულებდნენ, თუნდა მოსწონდეთ, თუნდა არაო“, ამბობს Bრანტი. Aმ გვარათ ახალი პრეზიდენტი ამბობს, რომ ჩემი ნება დაემორჩილება იმ ხალხის ნებასა, რომელმაც ამომირჩიაო. Mერე ამას მოსდევენ ისეთი ლიტონიკი, მაგრამ სიმართლით სავსე სიტყვები, რომ იმათ ავტორში იშვიათ კაცს გვაჩვენებენ: „მე არ ვიცი იმაზედ უკეთესი საშუალება უსარგებლო კანონების მოსპობისათვის, რომ ისევე კანონები ყოველთვის ნამდვილათ სრულდებოდესო“, ამბობს Bრანტი. Aმ სიტყვებში არის მთელი პროგრამმა Mინაგანი პოლიტიკის მოწყობისა, რომელიც შეერთებული Sტატების მოქალაქეებისათვის ძალიან სასიამოვნო იქნება: აქედგან სჩანს იმედი, რომ მხარისათვის უსარგებლო კონსტიტუციის უთანხმობა მოისპობა. Bარდა ამისა ეს სიტყვები არიან თავდებნი იმისა, რომ რაც იპოვეს ურთიერთ შორის ომისაგან, ისინი არ გაივლიან უსარგებლოთ და არც დაიკარგებიან, და არც ახალი პრეზიდენტი ეცდება იმ დროების მოგრუნებასა, რომელნიც იყვნენ Lინკოლნის წინათ.

Xალხის სამოქალაქო უფლების ქონის საქმეშიაც ახალი პრეზიდენტი იჩენს იმავე აზრებსა, როგორისაც იყო განსვენებული Lინკოლნი; ეს სულ არა ჰგავს Jონსონს. Bრანტი ამბობს რაკი ყველა Kავშირის მოქალაქეთ ერთი მოვალეობა ადევთ, ამიტომ ერთიევე უფლება უნდა ჰქონდეთო რომელი ჩამომავლობისა და როგორი ფერისაც უნდა იყვნენო; ამიტომ იმას სურს, რომ ინდოელებზე და ნეგრებზედაც გაავრცელოს ამორჩევის უფლება და ხმის ქონა.

Sაერთოთ ახალი პრეზიდენტის პროკლამაცია ძალიან სასიამოვნოთა მოქმედებს ყველაზე და იმედსაც სტოვებს, რომ ამ ცოტას ხანში შეერთებული Sტატები იქნებიან ბედნიერებაში.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(Pეტერბურღში მიღებული)

MᲐᲓᲠᲘᲓᲘ, მ ა რ ტ ი ს 6-ს. Kორტესებიც დათანახმდნენ იმ აზრზე, რომ Aნდალუზიაში ჯარი უნდა მიემატოსო, რადგანაც არეულობა მოხდა ხერესში და მორონში სალდათის მოგროვების გამო. Mინაგანთ საქმეთა მინისტრმა სთქო, რომ მალაგაში, Sევილში და Kადიკსში დიდი არეულობა ჩნდებაო.

FᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ, 1, (13) მ ა რ ტ ს ა. გაზეთში „Opinione“ დაბეჭდილია ოფიციონზური სტატია, დამარღვეველი განრცელებულის ხმებისა ჟურნალებთაგან ლაპარაკებზედ, რომელიცა ეითომც ისმიან დაბოლოებისათვის კავშირისა Fრანციას და Iტალიას შუა წინააღმდეგ Pრუსსიისა.

(Tფილისში მიღებული.)

20-ს მარტს დღის 4 საათზედ.

PᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, Aქ ისმის ეითომც Mოსკოვის Pეტროვის Aკადემიაში ლექციების კითხვა შემდგარა.

22-ს მაისს, დღის 12 ს. და 40 მინ.

PᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, Pეტერბურგის უნივერსიტეტში არეულობა მოხდა; გამოვიდა დაბეჭდილი პატარა პროკლამაცია საზოგადოებასთან Uნივერსიტეტის, მედიკოხირურგიის აკადემიის, ტეხნოლოგიის ინსტიტუტის და სამეურნეო Aკადემიის სტუდენტებიდგან. Mომატებული ნაწილი სტუდენტებისა არ ურევიან ამ უწესოებაში.

S.-Pეტერბურგი 21 მარტს 5 ს. 30. მ. დღისა.

W ა რ შ ა ვ ა. Dღეს აქაურ ღარიბების Mკოლის ნაჩალნიკას სახლში მოასწრეს და გამაჩინეს ასი ათასი ფალშიები ხუთ თუმნიანი ბილეთები, (ასიგნაციები).

S.-Pეტერბურგი მარტის 25-ს 2 საათზედ დღისა.

M ო ს კ ო ვ ი. Kვირა Dილაზედ სტუდენტების საზოგადოება იწევდა შესულიყვნენ უნივერსიტეტის აუდიტორიაში, სადაც უნდოდათ რჩევა მოეხდინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს ამის ასრულება.

მარტის 24-სა. დილის 8 საათზედ.

G უ დ ა უ რ ი. Aმალამ დასდო დიდი საშინელი თოვლი და კიდევ მოდის; ზვავი ჩამოწვა და Kობის გზა შეკრულია.

მარტის 42-ს საღამოს 6 საათზედ.

Gუდ-გორიდგან დღეს საშინელი ზვავი ჩამოწვა, ქვეშ თოთხმეტი სალდათი დაიტანა; რვა იმათგან ისევ ცოცხალი ამოიყვანეს, ერთი მომკვდარიყო და ხუთი ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ.

ᲩᲔᲛᲡ DᲫ. K.

Wიცი რომ გიყვარს ჩემი ლექსები
Dა მოგონება წასრულთა დღეთა;
Wენ ერთი იცნობ მდინარე კლდეთა,
მე რომ ვწერ მათთან მოხუცის ცრემლთა.

ამის მუხლთზედა მე და შენ ერთად
ჭუჭუშე ჩრდილისა სპეტაკთა თმათა
გახსოვსა?—ანბანს რომ ვისწავლიდით
და წმიდა ზნეთა სატრფიალოთა?

—

მაშინ დაგვნათდა მამის კურთხევა,
დედისა ლოცვა და სიყუარული;
მაშინ თბებოდა ჩუსნ შორის გრძნობა
მეგობრობისა ჯაჭვით შეკრული.

—

მაშინ სიცოცხლე სხუას მოელოდა,
ბული გვიფეთქდა, სცემდა სიხარულს,
გაზრდის ერთობა გვიქადაგებდა
წარუხოცელსა ძმურსა სიყუარულს.

—

ამისთვის ეგზავნი ამა ლექსებთა,
მოხუცის ცრემლთან მოკითხვის გვარად,
მიიღე, ძმაო, და მიითვალე
მარტოობის დროს წასაკითხავად.—

ქ.

—

ნამარნევის მონასტრის მსხემი.

ქავკასიის გვერდზედ კლდე აღმართულა
სახელი მისი არის Oეკური.
მონაკადულებს ძარღვთაგან მისთა
ბაბუშვერის ტბის წუსთნი ციური.

—

ამ ტბიდგან მოდის მჩქეფრი მდინარე,
მონასტრის წმიდა კლდეთა ეხება,
და ცრემლნი მისნი მაღლა მშხეფარე
იქა მოხუცის ცრემლსა ერთდება.

—

ცრემლი ამ ორთა დაუთვალავი
ბანგებისაგან შეერთებული,
ერთი კლდეზედა, მეორე კლდის ქუჩუშ
არს სიწმინდითა შედუღებული.

—

არავინ იცის მდინარისა მის
რას ნიშნავს, რბენა კუნესა, ტირილი,
არც მოხუცისა მასთანა ერთი
ღვარი ცრემლისა ცით განბანილი.

—

ორნივ ერთ გვარად გათეთრებულა,
ერთი ქუა კლდისა თავისა ცემით,
მეორე ღვაწლით, დუმილით, შრომით,
ლოცვით, ვედრებით, ცრემლისა დენით.

—

მოხუცი ესე ცისკრის ნათლის დროს
ჟულბაქისაკენ გარდაიხედავს;
შემდგომად ცრემლის ღვრაში მცურავი
საიდუმლოსა მსხვერპლსა შესწირავს.

—

არავინ უვის ამას მოწამე,
სიწმიდის ცრემლის და მხოლოობის,
თუ არა კლდენი, მდინარის ჰოხვრა,
სიბნელე ღამის და ცისკარი მზის.

—

ლოცვისა ხმანი, მთოვარის შუქნი,
სხივნი ვარსკვლავთა და ბრწყინვალები
კლდეზედა მდგომსა ნათლისა სვეტსა
მოხუცსა ამას თავსა ევლება.—

—

იგი არს სახე წასრულთა ჟამთა,
მწუხარებისა და ნეტარების,
იგი არს ძეგლი მოხსენებისა,
ნიში დიდების და სასოების.

—

საგრილსა ქუჩუშე მისის სიწმიდის
არა არს კუალი სოფლისა ენების,
ნეტარ არს კაცი, რომელი მისსა
ლოცვის შარავანდს შეეფარების!

ქოლხიდელი.—

სხვა და სხვა ამბავი.

—ვარშავში მოსულან ამ დღებში,—გვატყობინებს რუსული გაზეთი (4 მარტიდგან) „Правит. Вѣстникъ“ შლეზღვიდგან რვა კაცი მართულების ფაბრიკის მუშები პრუსიის კუთვნილნი, და დაბინაედნენ ისინი ierუსალიმის ზასტავის იქით, სახლში N600; იმათ 25 თებერვალს გაახურეს ფეჩი და დახურეს უდროოთ იმისი ტრუბა, დაწვნენ დასაძინებლათ, რომლისა გამოისობით ყოველთ უგარი მოუვიდათ, იმათგანი სამნი, ერთი 28 წლისა, მეორე 23, და მესამე 20, დაიხოცნენ, სხვანი სამნი თუმცა გრძნობაში მოიყვანეს, მაგრამ იმყოფებიან საშიშარს მდგომარეობაში, ხოლო დანარჩომი ორნი, რომელნიც კარებთან იწვნენ სრულებით კარგად არიან.

პოლიციისაგან არის მიღებული მკაცრი ლონის-ძიება, რომ ავათმყოფებს უჩვენოს ყოველის მხრით შესაძლებელი საექიმო შემწეობა.

ლამფის სინათლის მოქმედება თვალზე.

თუმცა ახლა გამრავლებული არის ხელოვნებითი სინათლის წყაროები, მაგრამ ყველგან უჩივიან იმათა, რომ თვალს ახდენსო და ვერც მზის სინათლის ადგილს იჭერსო. დიდი ხანია რაც ცდილობდნენ გაეგოთ ამისი მიზეზი და მოსპობის საშუალებაც ეპოვათ. ყველამ იცის, რომ ყველა ხელოვნებითს სინათლის წყაროებში ბევრი ყვითელი და წითელი სხივები არის, რომელნიც უფრო უმეტესად აწუხებენ თვალს. ეგონათ ამაში შესდგება მავნებლობა ხელოვნებითი სინათლის წყაროებისა. მაგრამ არ არის ძნელი სანთლებში ამ მავნებელი ფერების გაწყვეტა. ცელნერმა გამოიკვლია, რომ მინებში გატარებული სანთლის სინათლეს სრულებით თეთრი ფერი აქვსო, ასე რომ მზის სინათლეს არ ერჩევაო. მაგრამ მარტო სხივების ფეროვნება არ არის მიზეზი ხელოვნებითი სინათლის მავნებლობისა. მართლათაც ნავთის ლამფის სინათლე უფრო წმინდა არის, ვიდრე ზეთის ლამფისა, მაგრამ პირველი უფრო მავნებელია, ვიდრე სხვა ყველა გვარი სინათლის წყარო. მაშ რა არის ამისი მიზეზი?

ნათლის დენას მოსდევს ყოველთვის სითბოს დენაცა; მაგრამ ზომა კი ერთისა და მეორისაც სხვა და სხვა არის. მზის სინათლეში ნახევარი სითბოს სხივები იმავე დროს სინათლისაც არიან; ზეთის ლამფის ალში კი ასი ნაწილი სხივებიდგან ოთხმოცდა ათი სულ სითბოს სხივები არის და მხოლოდ ათი ნაწილი სინათლისა. თეთრათ გახურებული პლატინის სხივებში ოთხმოცდა თერამეტი ნაწილი სითბოსი არის; სპირტისაში ოთხმოცდა ცხრამეტი ნაწილი სითბოსი არის; ელეკტრის სინათლეში ოთხმოცი და გაზისაში ოთხმოცდა ათი. გაზის ლამფა როგორც დაიწყებს კარგა განათებას, მაშინვე იწყებს ძალიან დიდს სითბოს დენასა; აქ სინათლე იმისაგან არის, რომ გაზში ნახშირგვარის ნაწილები თეთრათა ხურდებიან; ასევე არის სხვა ხელოვნებითს სინათლეებში: ამისაგან თუმცა ალის შუაგულში სითბო ცოტავდება, მაგრამ გარშემო კი უფრო უმატებს სითბოსა.

ბრწყინვალე ნავთის ალსა აქვს ძალიან დიდი სითბოს დენა; იმისი სითბოს ნაწილი არის ასიდგან ოთხმოცდა თოთხმეტი ნაწილი.

ეს სითბოს სხივების უმეტესობა არის მეორე მიზეზი, რომ ხელოვნებითი სინათლეები არიან თვალისათვის მავნებელნი. მაგრამ არიან საშუალებანი, რომლითაც შეიძლება წაერთოთ ამ სინათლეებს სითბო. წმინდა და თეთრს შუშაში ცოტათ გადის შავი სითბოს ვები. და თუ შუშას მეორე მხრიდგან შაბი მიეკრა თხლათ, მაშინ კი სრულებით აღარ გავა სითბოს სხივები.

საბიბლიოგრაფიო.

განცხადება

ამის ქვემორე ხელის მომწერს ამ ცოტა ხანში სურს გამოსცეს ძვირფასი თხზულება მეფე ბიოორგის ძის იოანესი; იმის გამოცემა შეადგენს დიდს მოთხოვნილებას ანუ საჭიროებას ყოველ ქართველისათვის თავისის საგნით, რომელსაც ეს თხზულება შეეხება აგრეთვე იმით, რომ ეს წიგნი შეიცავს იმ სახელ-წოდებათ, რომელნიც გვქონია ძველათ და ახლა კი აღარა გვაქვს ჩვენის უდაუდევნელობით. არ დავმალავთ ამასაც, რომ იმ საგანზედ, თითქმის არავის არ უწერია ქართულს ენაზედ, თუმცა საჭიროება იყო ამისთანა საგანში. ეს წიგნი ნამეტნავათ საჭიროა მამულის მებატონეთათვის, რადგანაც ის შეიცავს იმათთვის საჭირო საგანს—ბუნების მეტყველობას ანუ ბუნების აღწერას. ყველა ქართველს შეტყობილი აქვს, თუ რა მშრომელი და მოღვაწე კაცი იყო მეფის ძე იოანე, თუ რა ჰქონდა სახეში, რა უნდოდა თავის მუშაობით ანუ შრომით, რომელიც სჩანს მის დაწერილებში. არ შევცდებით რომ ვთქვათ, იმას მხედველობაში ჰქონდა ქართველების განათლება. ეს არის პირდაპირი პასუხი იმისა. იმედი არის არ დავმალავთ იმის თხზულებაებს სკივრში ანუ ზანდუკებში და თაგვების შესაჭმელათ არ გავხდით, როგორც გაელილმა დროებამ გვაჩვენა, და იმედია ვისაც კი აქვს იმისი თხზულება ეცდება საზოგადო გახადოს დაბეჭდით. რასაკვირველია, ეკონომია, ანუ უფრო ზედ მიწევნით ვთქვათ სიძუნწე თავის საკუთარ ლაპარაკში ანუ შრომაში შეიძლება და არავის არა აქვს ძალა ამაზედ; მაგრამ რას ვიტყვით, რომ ჩვენ ქართველებს სხვაშიაცა გვაქვს გავრცელებული ეს თვისება, როგორათაც სხვის ნაღვაწში ანუ შრომაში, შესახებ დამალვისა სხვის თხზულებისა, მომჭირნეობა საცხოვრებელში, ტანცმაში, და თუ ასეც შეიძლება ვსთქვათ დროების სარგებლობაში, ესე იგი ცუდათ არ დავკარგოთ დროება; ასეც უნდა; დამალვა ამ ნაირ შრომისა, როგორათაც იოანე ბატონიშვილისა დიაღ დიდი საწყენია და დასაკლისია მეტადრე უარარაობაში, როდესაც არაფერი არ არის იმ ნაირი, ანუ იმის მზგავსი ჩვენ ლიტერატურაში. მგონია ასრე უნდა იყოს, რომ ჩვენ ვცდილობდეთ ყოველი კეთილი აზრი კაცისა ყველასთვის საუნჯეთ გავხადოთ, რათა ისარგებლონ. შესახებ ენისა ვიტყვით, რომ ეს ენა არის იგივე მშვენიერი ენა, რომლითაც ავტორმა დასწერა თავისი „ქალმასობა“ სივრცით დიაღ დიდია „ქალმასობაზე“ მჯობიერობით ანუ უკეთესობით გინდ საგნის აღრჩევით ამაზედ სიტყვა არ უნდა. თუ ვინმე ხედავს უსარგებლოთ დაბეჭდას ამ ნაირ შრომისას, ჩვენ ვეტყვით პასუხათ არამც თუ ღირსნი არიან რომ ამ ნაირი წიგნები დაიბეჭდოს, არამედ ღირსნი არიან, რომ ვახუშტის იოანნეს და ავტორს ვეფხვის ტყაოსნისას აღუმართონ ძეგლი. იმედი არის, რომ დროა ამასაც გვაჩვენებს. ბანრკვევას იოანნე ბატონის შვილის შრომისას ვეცდებით წინასიტყვაობაში, რომელიც იქმნება იმ წიგნში.

სახელ-წოდება ამ წიგნისა არის ეს:

„ბუნების მეტყველება
ანუ
შეკრება ლექსთა სხვათა და სხვათა ისტორიათაგან ანბანსა ზედა ასხმითა,
რომელნიცა შეადგენენ სამთა სამეფოთა ბუნებისათა,
ესე იგი:
ცხოველთასა, მცენარეთასა და
ალმონაკვეთთასა, გინა ბალეგვრეულთასა ქვებითურთ
ცხადითა განმარტებითა თვისებისა, ნიშნებისა და ხმარებისა მათისათა და წოდებითა სახელთასა რუსულსა, ლათინურსა და ქართულსა ენასა ზედა.
შრომითა და მოღვაწეობითა საქართველოს მეფის ბიოორგის ძის
იოანეზიოთ
ს.-პეტერბურღსა შინა.
1814 წელსა.“

გამომცემი სტეფანე ბამრეკელოვი.

ქართული ჟურნლის „მნათობის“ პირველი ნომერი იბეჭდება და ამ ცოტა ხანში გამოვა. ამ ნომრის შინაარსი შემდეგია:

1) ასპინძის ომი 1770 წელსა (საქარ. ისტ. მასალ.) თ. ალექსანდრე ბახტანგის ძის ჯამბაკურიან ორბელიანისა.

2) ლუკმა პურის ამბავი, თხზულ. მასსესი, გადაკეთებული N-სა.

3) სურათი მთიულების ცხოვრებიდგან. სვ. მგალობლისა.

4) ლიტერატურა, მისი მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებაზედ,—ნ. ა.

5) ქაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსრები ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოებისა. ინგილო-ჯანაშვილისა.

6) ქართული წარმოდგენა თბილისში. ნ. ა—სა.

(ბიბლიოგრაფიული ცნობა.)

7) ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი შედ. ბოგებაშვილისაგან—ი. ე—სა.

8) ლექსები: ჭმუნვა—ქნ. ნინა. ორბელიანისა; ობლის ბედი—წყალტუბელისა; ბევედრებ დმერთო—თ. პავლე თუმანიშვილისა.

9) დონ-ქიხოტი ლამანჩელი, თხზ. სერვანტესისა, თარგ. ნ. ავალიშვილისაგან.

რედაქტორი ნ. ავალიშვილი.

თბილისის საქალაქო სამმართველო.

ამითი აცხადებს, რომ ამ წლის აპრილში იქნება ვაჭრობა (ტორგი) თბილისის ქუჩების ქვით მოკირწყლისათვის; მეორეთ ვაჭრობა (პეტორჟკა) აღარ იქნება. ეს ვაჭრობა იქნება ქალაქის სამმართველოს სადგომში. ქუჩები არის გაყოფილი ნაწილ ნაწილათ და ცალცალკე მიეცემათ. აპრილის პირველში იქნება პირველი ნაწილის ვაჭრობა; მერე ამავე აპრილის სამში იქნება ვაჭრობა მეორე ნაწილისა, მესამე ნაწილისა ხუთში და მეოთხისა მეიდში. პირობაები ამ ვაჭრობისა არიან დაბეჭდილნი ცალკე და თბილისის ხელის მომწერლებს „დროებაზედ“ გაზეთთან უგზავნით.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го марта, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.